ფასი ყველგან 10

იუმორისტული გაზეთი

ოუამავალი

წელიწადი პირველი.

№ 7 კვირა, 26 აგვისტო, 1907 წ. № 7

ოზურგეთში ვაჭართა დეპუტაციას მათრახები უცხუნეს.—ტერიოკში „რუს. ბოგ.“ თანამშრომელ ჰეტრიშჩევს სტუმრებთან სადილობის ნება არ მისცა მთავრობამ.—ბათუმში შესდგა ნოქართა „კარტისტთა“ კავშირი—დაიკარგა გურია-სამეგრელოს სამრევლო სკოლების საეპარქიო საბჭო, ეძებენ და ვერ უპოვნიათ.



თავადი. გლეხო! მიიღე ეგ ფეხი
მამული ნამგზითვარია,
თორემ მოგისევ ძაღლებსა
დღე დაგადგება მწარია.

სიზმარ-ცხადი.

ერთ მშვენიერ ზაფხულში
გლეხკაცს თავის მამულში,
გულს სევდა მოეფინა
მიწვა და მიეძინა.
მისი მამულ დედული,
ირგვლივ შემოფარგლული,
ვიწრო იყო მეტათა,
ფეხი ვერ გაემართა.
ღობეებით შეკრული
ძლიერ სწუხდა ბედკრული,
იწვა, როგორც ბუდეში
ეკლებიან ზღუდეში.
წარსულით განამწარი
ეგდო ვით ცოცხალ-მკვდარი,
და გულ აღმა გდებულსა
სიზმარი უტკბობს გულსა.
ისე, როგორც ძმასთანა,
მიდის ღმერთი მასთანა...
ურჩევს: ,,წელი გამართოს
რაც უნდა დაემართოს''.
გლეხს რჩევა მოეწონა.
(გააკეთეს ეგონა.)
ერთი ამოიოხრა
და ღობე გაოხრა.
რომ წაართვეს მამული,
ამით გაბრაზებული
მორბის მღვდელი ჯვარითა
კნიაზი: ძაღლთ ჯარითა.
მიიტანეს იერიში
და გლეხს მიეცა შიში.
მსწრაფლ ,,შემოკლდა'' ბეჩავი
რომ გადირჩინოს თავი.

ეშმკი.

ქ. ნიკობურგი

(ძველათ ფოთი)

ბატონო რედაქტორო! დამიხსენი როგორმე ამ გასაჭირისაგან. გაიგეს თუ არა ფოთელებმა, რომ თქვენი კორესპონდენტი გავხდი, აუარებელ წერილებს, თხოვნებს, საჩივრებს და ასე გასინჯეთ დანოსებსაც კი მიგზავნიან თქვენ პატივცემულ გაზეთში გამოსაცხადებლათ. რა ვქნა არ ვიცი. მეხვეწებიან: „როგორმე ჩვენი თავი ჩაწერინე ისტორიაშიო“. ყველა ამბავი, რომ დაიბეჭდოს, მაშინ გაზეთი სულ ჩვენ მოგვინდებოდა, იმდენი სიმყრალე ყოფილა ამ დალოცვილ „ნიკობურგში“, მაგრამ უფრო თვალსაჩინო მოღვაწეთა შესახებ, რომ მაინც ცოტა არ დაიბეჭდოს ეს უსამართლობა იქნება, ამიტომ დავიწყებ პირდაპირ მათი წერილების გადმოწერით.

„ამხანაგო კრეისერ!—მწერს ის,—დიდათ მესიამოვნა, რომ თქვენ „შუამავლის“ კორესპონდენტი გამხდარხართ. ამგვარ ყოველიფრით და ყოველგვარი ბედნიერებით (ბაყაყებიდან დაწყებული—მარგანეცამდე) აღვსილ ქალაქს, ამდენხანს მუდმივი კორესპონდენტი არ ყოლია „შუამავალში“ და ამიტომ ბევრი საყურადღებო ამბები სრულიად უყურადღებოთ რჩებოდა. თითქმის ყოველი კუთხიდან იწერებიან, რომ აქ მიქიაშვილმა ამგვარი გმირობა ჩაიდინა, იქ მახარაძემ, აქ მგელაძემ, ბერიძემ, ნემსაძემ და სხვ., ფოთიდან კი ამდენხანს არაფერი იწერებოდა და გამოდიოდა თითქო ჩვენ ყველა კუთხის ხულიგანებზე და პოლიციელებზე გლახები ვართ და ნიკობურგში გულზე ხელ-დაკრეფილი გვეძინოს. მადლობა ღმერთს, რომ შემდეგისთვის თქვენ ქვეყანას აუწყებთ, რომ ეს ასე არ არის და ქვეყანაზე თუ ვინმე არის—ჩვენცა ვართ. აი მაგალითად რაზე უნდა დამივიწყოთ მე? თავიდან იყო და იმ დალოცვილ ძველ დროში სამი კაცი მყავს მოკლული; შემდეგ როცა „ახალი თაობა“ გაჩნდა ჩვენში, იაკობის მეთაურობით უპრავამ „ოხრანა“ შემოიღო თავის დასაცავათ, რომლის პირველ წევრათ მე მიმიღეს ფედერალისტების პროტექციით. იმედები არ გამიცრუებია და ყველაფერში შეძლებისადაგვარათ ენერგიულათ ვმუშაობდი, არაფერსაც არ ვთაკილობდი. თქვენც კარგათ იცით ნესტორ მიგინეიშვილის ამბავი, რითაც დავიხსენი „ერთი“ ახალგაზდა ქალი მოტაცებისაგან, „მამა მისი“ მიგინეიშვილის ვალების გადახდისაგან და ფოთი-კი გადაწვისაგან შარშან, როცა ბრწყინვალე რეაქცია შემობრძანდა, ბარე ორი ს. დ. აგიტატორი ვუზვარაკე ჩვენთანამემამულე პოლკოვნიკ ჩიქოვანს; მას აქეთაც ღმერთმან იცის არ დამიშურავს ძალი და ღონე. ერთ დროს ჩემ მწყალობელ ფედერალისტებსაც-კი მივყავი ხელი; გუშხამ იყო და სამი დევის ყლაპია ანარხისტი „დავიმასვაქნე“ ბუხტში, თუმცა მათ ბომბის მაგიერ სამი ხლოპუშკა აღმოაჩნდათ.

ხალხი ძალიან მადლიერი მყავს. მართალია ვილაცებმა ერთი ძალიანი დამბეგვეს ამას წინეთ აბაშაში და სთქვეს ისინი ორგანიზაციის ტერორისტები იყვენო, მაგრამ ეს ტყუილია. ორგანიზაცია მე მუდამ პატივს მცემდა და მერიდებოდა. ასე გასინჯეთ მისი წევრები ერთი ქუჩის ბოლოში რომ დამინახავენ გადაუხვევენ და გვერდს ამივლიან...

დავშთები მომავალშიაც პატივისცემით თქვენთვის და თქვენისთანაების სასამსახუროთ

საჩინო ფვანია.

P. S. ჩემმა ამხანაგმა განსვენებულმა გრიგოლ ლომაიამ დამაბარა, როცა ისტორიის წერა დაიწყონ ჩემი თავიც ჩაწერინეო. გთხოვთ ჩასწეროთ ისიც ამხანაგო კრეისერ.

ს. ჟ.

„ამხანაგო კრეისერ!—მწერს არა ნაკლებათ ცნობილი შაქრო ექიმოვი,—ტყუილია ის ხმა ვითომც მე გადასახლებას მიპირობდენ და ისიც ქურდობისათვის მოგეხსენებათ მე ქალაქის ,,ოხრანა“-ში ვმსახურებდი და აბა ამისთანა ხელობის კაცი და ქურდობა ხომ შეუძლებელია! ესეც არ იყოს, მე ისედაც დავამტკიცე ჩემი პატიოსნება და სამსახური საზოგადოების წინაშე. შარშან თებერვალში არ იყო, რომ პარკში დავიჭირე და მივბეგვე ს. დემოკრატების აგიტატორი ვანო კობახიძე?.. იცოცხლეთ ის მადიანათ მოვხუზლეთ, მივბეგვეთ და მივაბრძანეთ ციხეში!..

მართალია ამ ბოლო დროს ციხეში ყოფნის დროს ერთი მეც მომბეგვეს „ვითომდა ხულიგანობისათვის“, მაგრამ იმედი მაქვს: მომავალში უფრო კარგათ დაიფასებენ ნიკობურგელები ჩემს მათდამი სამსახურს.

შენი პატივისმცემელი შაქრო ექიმოვი.

„ძვირფასო ამხანაგო კრეისერ!—მწერს ბუხტიდან ინჟენერი სკარჟინსკი,—სთხოვეთ თქვენს რედაქტორს, რომ ჩვენც მოგვაქციოს ცოტა ყურადღება. თქვე კურთხეულებო, ხომ ხედავთ, როგორ გამიჭივრა საქმე მუშებმა და მათმა ძალმომრეობამ (!) ესაო და ქირა ბევრი გვინდა, ხოლო მუშაობით-კი ცოტა უნდა ვიმუშაოთო. გაუგონიათ ბატონო 8 საათის სამუშაო დღე კარგი არისო და ის კი არ იციან, რომ ამგვარ სისულელეს მხოლოდ სამზღვარ გარეთ აქვს გასავალი. აბა დიდი ჭკუა უნდა განა იმის მიხვედრას, რომ თუ თოთხმეტი საათის მუშაობა ვერ არჩენს მუშას და მუდამ ქაფშიასავით ხახა დაღებული გაიძახის: „მშია, მშიაო“, მაშინ რვა საათის მუშაობა რაღას უზამს?!.

მარა ამას კიდევ გავუძლებდი, - რომ სხვა უბედურებაც თავზე არ დაგვტყდომოდა საწყალ და ჩაგრულ კაპიტალისტებს. წარმოვიდგინოთ, რომ მუშამ მუშაობის დროს ფეხი ან ხელი მოიტეხა, ამაში მას შენ ფულები უნდა მისცე, ნერე ცოტა კი არა—100, 200 და ასე წარმოიდგინეთ ზოგჯერ 300 მანეთიც-კი. თუ არ მიეცი მოდის და გიჩივა მოსამართლესთან... ოჰ, საჩივარი, რომ მომაგონდება (რასაკვირველია როცა სხვა მიჩივა) გუ-

ლი მისუსტდება და ფეხები მიკანკალებს ხოლმე. გადაღმა კვირაში მომიგო ერთმა მუშამ 1300 მანეთი მხოლოთ იმიტომ, რომ **„თვალები დამიდგა შენთან მუშაობის დროსო“**. თვალებიც დაუდგეს და ყურებიც, მაგრამ ვაი ჩემს დღეს, რომ ყოფიანი (ფოთის მომრიგებელი მოსამართლეა) ასე არ მოიქცა, (თურმე ის ყურმუსაღი გასოციალ-დემოკრატებულა), ადგა და მიუსაჯა თვალებ დაფსებულ მუშას 1300 მანეთი. „ს. დემოკრატები“, რომ ღვთის პირიდან გადავარდნილი იყვენ ეს დიდი ხანია ვიცოდი, მარა ფედერალისტებიც თუ გადაირეოდენ ამას როგორ წარმოვიდგენდი. ექიმი ჩხენკელი (ფედერალისტიაო მეუბნებოდენ), თურმე პირველი სოც. დემოკრატი და ტერორისტი ყოფილა!.. მოვიდა და მურტლიან მუშას უმოწმა „სწორეთ შრომის ცუდი პირობებით დაბრმავებულაო“..

არა, პირდაპირ მომერიენ მცარცველები და უსამართლოთ წამართვეს ეს 1300 მანეთი. ვიმედოვნებ, რომ მალე მოეღება ამგვარ უსამართლო ძარცვა გლეჯასაც ბოლო.

პატივისცემით თქვენი ინჟენერი **სკარჟინსკი.**

—

„ამხანაგო კრეისერ! (მწერს ოფიციალური ტონით ყოფილი ბოქაული მაქსიმე ხაბურძანია, რომელსაც გურიიდან დაწყებული ფოთამდე ყველა კარგათ იცნობს) Секретно циркулярно, доносъ. პატივი მაქვს გაუწყოთ, რომ ჩემმა მოადგილე ბოქაულმა მთლათ შეაწრიალა პორტის უჩასტკა. ამბობდენ იმასაც ილებს და საქმესაც არ აკეთებსო, მაგალითად იუსუფ ხალილ-ოღლისთვის გამოუომასქნია გავანთავისუფლეო და შემდეგ-კი ციხეში შეუგდია სამითვით. ხალილ ოღლი ახლა საჩივარსაც იწყებს თურმე (თუ უკვე დაიწყო კარგათ არ ვიცი)... ყოველშემთხვევაში მოგვეჭრა თავი ამგვარი მისი საქციელით, ბოქაულთა მთელ „კორპორაციას“!! მე იმიტომ გამაგდეს, რომ **სამზღვარგარეთელ** კაპიტალისტს ავგერინოს, ცნობილ მარგანეცის მრეწველს და ქვეყნის მღლეტელს ცოტა რამე ვთხოვე და იმას-კი ყურადღებასაც არ აქცევენ ღატაკების გაფცქვნისთვის.

თუ ვინცობა ამ ს ჯეროვანი ყურადღება არ მიექცა და ფ—ლია დროზე არ დაითხოვეს სამსახურიდან, მაშინ აზრათ მაქვს სამედიატორო სამართალში გამოვიწვიო კავკასიის უმაღლესი ადმინისტრაცია.

დავშთები თქვენდამი მუდამ პატივისცემით,
ყოფილი **მაქსიმე ხაბურძანია.“**

—

„ამხანაგო კრეისერ!—მწერს ყოფილი გოროდოვოი სიმონ ჭანტურია – გთხოვთ უმორჩილესათ გაასწოროთ თქვენ წინანდელ კორესპონდენციაში უნებლიეთ შეპარული შეცდომა. იქ სწერია ვითომც მე წვრილ-წვრილი ნივთების ქურდი ვიყო. ეს არ შეეფერება ჩემს ღირსებას და ნამსახურობას, რადგანაც მე მხოლოთ ცხენებს, ჯორებს, ხარებს, და სხ. ამისთანა მსხვილ ცხოველებს ვიპარავდი. თუ ექვი შეგაქვთ ჩემი სიტყვების სინამდვილეში, შემიძლია წარმოგიდგინოთ 5-მდე „პრიგოვორი“ საოლქო და მომრიგებელ სასამართლოთა ზემო ნათქვამის დასამტკიცებლათ. ამასთანავე შემიძლია წარმოგიდგინოთ ნომერი 18 მანეთის ტალონისა, რომელიც ქუთაისიდან გამომიგზავნეს ამ დღეებში, ჯილდო სამსახურის პირნათლად ასრულებისთვის.

დროებით შტატს გარეშე (ციხეში) მყოფი
გოროდოვოი **სიმონ ჭანტურია“**

—

„ამხ. კრეისერ!—მწერს ერთი ბარიშნა,—გაბედნიერდა ქართული ლიტერატურა! მას შეემატა ერთი უცხო სიტყვათა ასახსნელი ლექსიკონი, რომელიც „შუამავლის -ს გვერდებზე იბეჭდება. მე ძალიანი მომეწონა ისა და გთხოვ შეუთვალო ლექსიკონის ავტორს, რომ სიტყვა **„ფოთელი ბარიშნა“** ნიშნავს მუდამ ბულვარში უსაქმოთ და უდარდელათ მოხეტიალე უქმარო ქალს. იმედია ამ სიტყვასაც ჩაუმატებს ლექსიკონში.

პატივისცემით **ფოთელი ბარიშნა.**

—

კიდევ ბევრი ასეთი წერილები მაქვს ხელთ, მარა მეტის გადაწერა აღარ შემიძლია, გავათავებ ამით. მხოლოთ ვაცხადებ მკითხველთა საყურადღებოთ, არც ერთი ზემოთ მოყვანილი წერილების ავტორი ჩემი ამხანაგი არ არის, არამედ იგინი შეცდომით მიწოდებენ ამხანაგს. გარდა ამისა, ამის შემდეგ ყველას ვთხოვ, რომ ვისაც რამე დასაბეჭდი ჰქონდეს პირდაპირ რედაქციაში გაგზავნონ და მე მეტს ნულარ შემაწუხებენ, თორემ მე მათი წერილების გადაწერას მოუნდი და ორიგინალური ვერაფერი დავწერე.

კრეისერი.

ᲔᲠᲔᲡᲘᲐ.

ᲣᲕᲘᲜᲩᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲩᲮᲣᲑᲘ. ᲡᲐᲜᲐᲒᲕᲘᲡ ᲒᲛᲐᲠᲔᲑᲘ. ᲖᲠᲓᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲜᲘᲛᲣᲨᲘ ᲐᲜᲣ ᲐᲜᲐᲠᲥᲘᲣᲚᲘ ᲮᲝᲚᲔᲛᲘᲯᲐ.

წინა წერილში ჩვენ მოვიხსენიეთ ბ-ნ „ბატონ“-ის წერილი ქ-ნი ქარიშხალისადმი მინაწერი. ახლა განვიხილოთ ქ-ნი „ქარიშხალის“ პასუხი მამამთილთან მინაწერი: პატივ-ცემულო ბ-ნო „ბატონო“!

მოგეწერა წავიკითხე
შენი წიგნი ჩემი ქება
და არ მიკვირს მამამთილო
ესდენ შენი გალაყბა.

არც მინდოდა მეპასუხნა შენთვის, რადგან შენისთანა ცარიელ სიტყვების გმირთან და იმერულ ლაქლაქის წარმომადგენელთან ბაასი მეტია, რადგან ამგვარი თავი სისულელეს მუდამ გაიმეორებს.

საყვარელო მამამთილო! თქვენ გვიპირებთ საჭირო ალაგას ნიშადურის ამოსმას. მე კი ჩემო კეთილო ველი ცოტა ხანს, რადგან უსინდისო ადამიანს, თანაც იეზუიტს და შემპარავი ძაღლის ხასიათის პატრონს დიდხანს არ ვითმენთ, როგორც ყოველგვარ რეაქციას და ისეთ „სასტავს“ ამოგცხებენ, რომ ნიშადური დაგავიწყდეთ ციხეკურ ზნეობისა და ციხეკურ კალმის პატრონს.

თქვენ მიბრძანებთ: „შემოკლდით ჯენტლმენო, შემოკლდითო“.

მე მოგახსენებთ: „ევაშ, ევაშ ადამ! ჭკუაზე ხომ არ შესცდით?! ეს მოსალოდნელია იმ ნიშნების შემდეგ, რომელიც შეძლება გვქონდა გვენახა. რა გგონია შენი ცარიელი თავ? დახეთ! ვინ შემოკლდება მომავალი გვიჩვენებს, თუ სიკვდილმა არ გვისწრო ორივეს. თქვენისთანა ფინია—დეგენერატი გონებრივ და ზნეობრივ ახოვნებითა ვერავის შეამოკლებს. ევაშ, ევაშ ყარდაშ! დახეთ!

თქვენ ამბობთ „იდეალისთვის არ მიღალატნიაო“, სასიამოვნოა ვფიცავ ალლახის წვერებს, თუმცაღა რწმენის შეცვლა არავისათვის არ არის აკრძალული, მაგრამ რწმენისა ან სხვა რამის ღალატი, უხამსი საქციელია, შეცვლის მაგიერ ღალატი—ეს დეგენერატობაა. თქვენი საქციელით თქვენ აბუკბუკეთ იდეურ ანემიით შეპყრობილი ფედერალისტები და ჩვენც, **чтобы отмежеваться отъ безпомыхъ существъ** იძულებული ვიყავით გაგვერჩია თქვენი უტვინო, დეგენერატი თავის ნაწარმოები; **услужливый дуракъ опаснѣе врага.**

თქვენი აზრით მე სახელი გატეხილი მაქვს. მაგრამ არის ისეთი წრეებიც, სადაც მე არავითარი ფასი არა მაქვს და დეგენერატ Baton-ის სახელი კი ლაფშია მოსვრილი. ამასთანავე ვსთხოვ სანამ იძულებული არ ვიქნები ვაიძულო დეგენერატი, მიბრძანოს: რით არის გატეხილი ჩემი სახელი, საიდან იცის და რა საბუთები აქვს?

ღვარძლიანი, როსკიპი სინდისის პატრონი, ზნეობრივად კუზიანი და კოჭლი დეგენერატი Baton-ი გვეუბნება: „ვინც თქვენ რწმენას იცნობს, იცის ვინც ღალატობს იდეალსაო“. თუ თქვენ ქუჩის სალახანა ან პადვლის მოქალაქე არ ბრძანდებით, თუ სრულიად არ გაროსკიპებულხართ, მიბრძანე როდის ჩამიდენია ღალატი. მარილა უსინდისო და დეგენერატო, ჩემ ადამიანობასთან რა ხელი გქონდათ, ან რა მიზეზი გქონდათ მოახლოებულიყავით თქვენი ჩირქიანი ხელითა და ზნეობით.

მყრალა, არაწმინდა, მოღალატე და იეზუიტი (ამისი ფაქტები ხელთა მაქვს) დეგენერატი Baton-ი ამბობს: „რა პარტიასაც ეკუთვნით, ეს თქვენც კარგათ მოგეხსენებათ თუ მართლა ჭკუაზე შემცდარი არა ბრძანდებითო.

თქვენ, უბადრუკო „ბატონო“ ემზადებით ჩემთვის სახრჩობელას მომზადებას, მაგრამ გაფრთხილებთ: ჩემთვის მომზადებულ ბაწარში თვით არ გაყო შენი უბადრუკი და უტვინო გოგრა. თქვენი ბიოგრაფია იმერეთის ეპოპეიდან დღევანდელ ცხოვრების დაქუცმაცებამდე სულ დაწვრილებით ვიცი. ის „პარტია“, რომელსაც მე მახვევთ თავზე თქვენი პარტიაც არის და საბუთებით, მოწმეებით დაგიმტკიცებთ. დაგიმტკიცებთ იმასაც, რომ ერთ დროს საკუთარ ანგარიშებისთვის თქვენ აზრსა და სიტყვასაც აქირავებდით. დღევანდელმა თქვენმა მიდრეკილებამ იქნებ პრავაკატორობამდეც კი მიგათრიოთ ამ გზაზე. ისე როგორც შეჰფერის სალდათს, რომელიც зарапортовался.

დეგენერატი „ბატონი“ გვეუბნება: „ნება მიბოძეთ მეც ამოვიღო ხმა ანარქიზმის დასაცველათო“. ისე ამბობს, მეცო, თითქოს რამეს წარმოადგენდეს და დიდი ღვაწლი მიუძღოდეს. თქვენი ორიოდე ბროშიურა ანარქისტულია, მაგრამ ჩლუნგია დეგენერატო, ბუნდოვანთა და უფრო სიტყვათა თხზულებაა, ვიდრე არგუმენტებისა“.

ასეთია წიგნი ქ-ნი „ქარიშხალის“ მიერ Batonისადმი მინაწერი.

პროვინცია.

გურია. გურიის სამრევლოს სკოლების ბედი არასოდეს არ ყოფილა სანატრელი, მაგრამ ახლა ყოვლად საჯაყი სა მე დაემართათ. უგზო უკვლოდ დაიკარგა გურია-სამეგრელოს ეპარქიალური სამ. საბჭო. რამდენი ხანია ოზურგეთის განყოფილება თხოვნას თხოვნაზე უგზავნის: დაგვიბრუნეთ ჩვენი ჟურნალი, რომელიც ეს 7 თვეა რაც გამოგიგზავნეთო, მაგრამ ამაოთ მათი ხმა რჩება: „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.“

—

ჩოხატაური. სტატისტიკური ცნობის მიხედვით 1907 წლის 1 იანვრიდან ვიდრე აგვისტოს პირველ რიცხვამდე ადგილობრივ ექიმს ლანძღვა გინების რეცეპტი მხოლოდ **ორმოც და ცხრა** კლიენტისათვის გამოუწერია. ექიმის სიტყვით ეს უებრო წამალია ზოგიერთ ავათმყოფთა განსაკურნებლათ.

შურდული.

—

ლიხაური.

ამ დღეებში გამოცხადდა
ლიხაურში დრამის ფული,
მას უსმენდა აღტაცებით
წმინდა, ქრისტეს მოციქული.
ხალხმა ცივი უარი სტკიცა
შეკრთა ნესტორ; მისდის გული.
და თავის მრევლს გასაკრეჭათ
გადაჰყურებს მართლ — მსაჯული.
ყველა მხრიდან ახლა მოგვდგენ
და გაგვაძრეს მწარეთ ტყავი.
ორი ათასი წაიღეს
მიხაკიეს სამარხავი.

ს:ვა.

—

ბათუმი. ვინაიდან ქალაქის თავის განკარგულებით ბათუმის ბულვარში ზაფხულის დამლევამდე დანიშნულია **„ძაღლების გამოფენა**, ამიტომ უმორჩილესათ ვსთხოვთ ბულვარში მოსეირნეთ, განურჩევლათ სქესისა, სეირნობის დროს ჯოხებით აღიჭურვონ, რომ საჭიროების დროს უკუ აგდონ შარვალთა და სხვათა სამოსელთა დასახევათ მისეული პირუტყვნი.

გამ. მომწყობი დაკუნია.

—

ველისციხე. რადგანაც ჩვენი სოფლის მწერალმა ნ. თო—მა სრულიად მოულოდნელათ სმაზე ხელი აიღო და თავისი „მოვალეობის“ პირნათლათ ასრულებას შეუდგა, ხალხი დაღონებას მიეცა.

მამასახლისის მეცადინეობით შესდგა სანიტარული კომისია, რომელიც სწმენდს ნოფელს თევზეულობისა და მაგარი სასმელებისაგან, კომისიის თავმჯდომარე პაატა შალაშვილია.

მუშტი.

—

სოფ. ახაშენი.

ჩვენი სოფლის მამასახლისს
დაემართა უცებ „შტუკა“:
კისერი მთლად გაუწვრილდა
და მუცელი დაეფუკა!!
ეშმაკი თუ გაებუტა —
ან გაუწყრა ანგელოზი,
თორემ საზრდო არ აკლია
ერბო, თაფლი და ნიგოზი.
მაგრამ ერთი რამ გვაკვირვებს
არ წაუხდა ქრთამის მადა
ძველებურათ იღეს, იღებს...
და იძახის; “ეშჩო ნადა!!“

—

სამტრედია ადგილობრივ ვაჭრებს დიდი ხანია განზრახვა ჰქონდათ ცხენის წყლის შტო დაბა სამტრედიაშიაც გაეტარებიათ. მაგრამ ამ ბოლო დროს ვიღაც ულმერთოს დაურწმუნებია ვაჭრები, რომ წყალი გაიტანს ბაზრიდან ყოველგვარ სიბინძურეს და ამგვარათ მოუსპობს მათ არსებობის საგანს, ვინაიდან ჩვენებური ვაჭრები, როგორც ხოლერა, და ადმინისტრაცია, როგორც ვაჭრები მხოლოდ სიბინძურით არსებობენ. მოაშორეთ ბაზარს სიმყრალე და ისე დაცვივიან, როგორც თევზი უწყლოთ. ამიტომ ვაჭრებს საბოლოოთ დაუდგენიათ: ერთი წვეთი წყალი არ გააჭაჭანონ სამტრედიის ქუჩებში.

პურიშკევიჩი,

ს. სამხთო.

ამ ბოლო დროს შემოვიღეთ
ძველებური დროს-ტარება,
კარტი, ნარდი, არშიყობა
და სხვა მსგავსი ნეტარება.
რომელიც გვყავს ,,ტარიელი''
ჯან საღი და მოწიფული
რაღაც ბედათ საფლანგავი
ყველას უჩხრიალებს ფული.
ზოგი მამულს აგირავებს,
ზოგი იღებს დღიურ ქირას
და ამგვარათ განუწყვეტლივ,
გადადიან თავდაყირას.
ოტია და გაბრიელა
თუ გვეწვია საქეიფოთ
კამპანია აღარ ვარგა
უყანწოთ, უმერიქიფოთ.

გურიანთელი ბუი

—

ოზურგეთი. 10 აგვისტოს დილის 9 საათზე ბაზარში საზარელი ამბავი დატრიალდა. თურმე ვაჭარი ს. ო-ძე თავს დაესხა კ. შ—ლს და ერთი აბაზის ,,ექსპროპრიაცია'' გაუკეთა. დამნაშავე უგზოუკვლოთ მიიმალა. მდევრებს შვიდი ლანძღვის ყუმბარა ესროლა, რომელთაგან არცერთი არ აფეთქებულა.

სამწუხარო და თანაც სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, თითქო განსვენებული კ. კ.-ს ადგილზე გ. ჯ—ძე აპირებს ეგზამენის დაჭერასო. ამ ჟამათ ,,გამწარებული'' ემზადება თურმე.

12 აგვისტოს მხოლოდ ბოქაულ ქაიხოსრო ჯაყელს ერთი კაცის მეტი არ დაუჭერია.

გრძელ-წვერა ქარცივაძეს ბნედა მოუვიდა და ბინაზე გაიშხლართა. ცხალმკვდარი ვირის აბანოში გააგზავნეს.

ბახუსი.

სამტრედიის რაიონი.

(მამასახლისთა ვითარება)

ერთობის დრო როცა იყო,
მეც ერთობის ვემხრობოდი:
მიტინგებს და ისე კრებებს
დაუკლებლივ ვესწრებოდი.
ბევრი საქმეც მანდო ხალხმა
ამირჩია დამფასა
„სოციალი“ კაცი ვიყავ,
ნდობას მიცხადებდა მასსა.
მაგრამ, შემდეგ, რაკი ეს დრო
ძველი წესით შეიცვალა,
რეაქციამ გაიმარჯვა
და მთავრობამ მოგვაძალა,
მეც რა მექნა! ამ შეცვლილ დროს
შევუფარდე მოქმედება:

მამასახლისათ დავდექი,
(რა ვქნა ხალხი მეტოდება!)
მაგრამ დღეს კი, სიცოცხლე გაქვთ
დავუბნიე მათ დავთარი,
და თვითმართველობის საქმე
სანახევროთ ჩემ ხელთ არი.
ბევრ საქმეებს, რა თქმა უნდა
ძველებურათ ვაწესრიგებ
გავახშირე ჯარიმები,
ბეჭდის ფულსაც ოხრათ ვიღებ.
უმაღლესი მთავრობის წინ
ფხიზლათა ვარ, არ ვვორგულობ,
ნაგაშიძის მინდორ ველებს
გულ-მოდგინეთ ვუარაულობ.
ხარკის ფულსაც ისე ვბოჭავ,
მოფიქრებას არც კი ვაცლი...
ვინც ვერ მომცემს, (თქვენ მზეს ფიცავ)
სულ სინსილას გამოვაცლი.
დამემდურა, ვხედავ ხალხი,
მაგრამ ვინ რას გამიბედავს
სტრაჟნიკები გვერდში მყავხან,
აუტირებ მშობელ დედას·
მწერალი მყავს გამოცდილი
სწორეთ დიდათ დამეხმარა;
უმთავრესად მისი რჩევით
საქმე კარგათ მიეგვარა.
ერთობის დროს, სატოდავი
დაიჩაგრა, დაბეჩავდა,
დაჩინჩული, დაკინკული
უდაბნოელ მწირსა გავდა.
მარა დღეს კი ღვთის წყალობით
და ჩვენივე მოხერხებით
დიამბეგებს დავემსგავსეთ,
გაჭიმული დავბრძანდებით.
თუ'ც არ ვფიქრობთ· მარა მაინც
ეს დრო სხვაფერ შეიცვალა;
თუ დამარცხდა რეაქცია,
და იშოვა ხალხმა ძალა,
აბა ის დრო სად წავგივა,
გონება გვაქვს, თვალი ყური
ხალხს ვეტყვი; რომ ძალას მწევდა
ის ოხერი სამსახური.
ხალხიც, ჯიცი მუდამ ბრმაა...
მას ყოველთვის დავაჯერებ,
და ქვეყანას ჩემ თავს ისევ,
„სოციალად“ მოვაჩვენებ.

შევარდენი.

ხაზეინთა შორის.

ბათუმის ყასბებმა თავიანთ კრებაზე შეიმუშავეს შემდეგი ნიხრი, რომელიც ქალაქის საბჭოს წარედგინა დასამტკიცებლათ.

1) პირველი ხარისხის ხორცი, ე. ი. კამეჩის, ვირის და ცხენის გირვანქა 35 კ.

2) აყროლებული ხორცი ძროხის, ხარის და ხბოს 30 კ.

3) ამათი თავ-ფეხები და ღვიძლი 40 კ.

4) ეს დადგენილებები ეხება მხოლოდ მოქალაქეებს, ჯარს კი საუკეთესო ხორცი გირვანქა 8 კ. მიეცეს.

5) იმ შემთხვევაში, თუ მონაპარავი ძროხა ვიშოვნეთ, როგორც მაგალითად ეფანე ბერძენიშვილის ჰ ძროხა ივანე კაკაბაძეს ჩაუვარდა ხელში, იმ შემთხვევაში ხორცს მოქალაქეებს გირვანქას 5 კ. მივყიდით, და თვით ღლასნებს თითო ფუთს კი უფასოდ გაუგზავნით სახლში, და მასთან ბაზარნიკსაც.

მუშების შესახებ შემდეგი დაადგინეს:

1) ხორცი რომ არ გაფუჭდეს, სავაჭროები მუდამ ღია იყოს, დღიან ღამიანა.

2) სალახები და ხორცის მჭრელებიც მუდამ ხორცთან უნდა იდგენ და ვერ უნდა სცილდებოდენ გარდა ერთი დღისა წელიწადში, იგიც ერთი დღე აღდგომას.

3) ბიჭებს ჯამაგირი მოუმატოთ თვეში ჩვიდმეტი კაპეიკი, და იგიც მაშინ თუ ამ მოთხოვნებს ხმოსნები დაამტკიცებენ.

4) ბიჭებისთვის დღეში ვიყიდოთ საჭმელათ თითო ოყა ლობიო, ხორცით კვება ძვირი დაგვიჯდება.

5) იმ შემთხვევაში, თუ ეს უპრავამ არ დაამტკიცოს ერთხმად ყველამ გავიფიცოთ და მოქალაქეებს ხორცი არ მივყიდოთ, და გარნიზონს კი რადგან ხელშეკრულობა გვაქვს დადებული.

6) ვინც ამ მუხლებს დაარღვევს, ერთი თვით ბოიკოტი და სავაჭრო საყასბო დაეხურება 15 დღით.

მეთვალყურე დაკუნია.



ჯონ ბული.—ეხლა არხეინათ ვარ ამ კარებიდან ველარავინ ველარ შემოვა.

მუშათა შორის.

ამ დღეებში კავშირის გარეთ მყოფ ნოქრებმა კრება გამართეს. კრებას დაესწრენ უმთავრესათ მსხვილ ჯამაგირიანები და დაადგინეს შემდეგი:

1) გაწყვიტონ ყოველივე დამოკიდებულება ნოქართა პროფესიონალურ კავშირთან.

2) წევრათ მიიღება ყველა, ვინც კი მოისურვებს.

3) არჩეულ იქნას განსაკუთრებული რედაქცია სპეციალისტ ,,კარტისტებისგან'', რომ როგორც ბაკურიანშია იმ გვარი ,,სოციალისტური'' თამაში შემოიღონ წევრთა გასაწრთვნელათ.

4) აეკრძალოს წევრებს არსებულ ჟურნალ-გაზეთების კითხვა.

5) მოიწვიონ შესასწავლათ ნარდ-კარტის თამაშობის სპეციალისტები.

6) არჩეულ იქნას დროებითი ბიურო, რომელიც ეცდება რაც შეიძლება მეტი წევრების შეძენას.

მეთვალყურე დაკუნია.

მგზავრის შენიშვნები.

რუსეთი.

ქვეყანა ვრცელია, კაცები ცოტა.

საუკეთესო ადამიანები ჩრდილოეთ გუბერნიებში ცხოვრობენ.

ნაციონალური სასმელი „მონოპოლკა“.

საყვარელი სიტყვა „ნაგაიკა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზები ცუდია, გარდა ციმბირისკენ მიმავალის.

საყვარელი სიმღერა: ,,მზე ამოდის, ისევ ჩადის‘‘.

საზოგადო მოღვაწეებს ჯვრებით აჯილდოებენ.

ყველაზე უდიდეს არხს სიბინძურეთა გასატარებლათ ეწოდება ,,ნოვოე ვრემია“.

საუკეთესო მწერალი—გრინგმუტია.

ყველაზე უფრო ბრწყინვალე კაცი იოანე კრონშტადტელი. სასწაულებს ახდენს.

უმთავრესი ქალაქი პეტერბურგია.

უმთავრესი სოფელი მოსკოვი.

უცხო სიტყვებში ყველაზე მეტათ გავრცელებულია: ,,ექსპროპრიაცია‘‘, ,,კონფისკაცია‘‘ და ,,ცენზურა‘‘.

ყველაზე უფრო საშიში ხელობა რედაქტორობაა.

ლოთები სარგებლობენ სრული თავისუფლებით და პატივისცემით.

ბორგეზე.

დეპეშები.

კავკასია.

განჯა. ნაბძანებია 3 საათსა და ოთხწუთში დაიცალოს ქალაქი. მიზეზი, როგორც ამბობენ ქ-ნი პროვოკაციის მობრძანებაა. ითხოვეს ერთი საათით გაგრძელდეს დაცლის ვადა, მაგრამ ამაოდ.

ოზურგეთი. კაზა-ბლანკაში მომხდარ დავდასხმისა გამო, ოზურგეთში ერთი მოსახლე კაცი დასწვეს.

ნიკოზურგი. (ფოთი) რადგანაც ბათუმის სიმაგრეები აქ გადმოაქვთ, ამიტომ ჩვენმა ქალაქის თავმა შუამდგომლობა აღძრა ზღვათა სამინისტროში ბუხტი ორპირში გადაიტანოს.

თელავი. ამ დღეებში მოხდა ცხენებთან შეტაკება. ხუთი ცხენი მოიკლა. მაზრის უფროსი კი უვნებლათ გადარჩა.

ბათუმი. აქ ხმები გავრცელდა, თითქო ბათუმის ისევ სავაჭრო ქალაქათ მონათვლა უნდოდეთ. ვაჭრების სიხარულს საზღვარი არა აქვს. ხოლერის წინააღმდეგ სასტიკი ზომებია მიღებული. ყოველივე სიბინძურეს ერთათ უყრიან თავს, რომ ღირსეულათ დახვდენ აზიელ სტუმარს.

ჭიათურა. რადგან დასაჭერი ხალხი გამოილია, სასტიკი ზომები მიიღეს ოთხფეხა კრამოლნიკების შესახებ. დღე არ გაივლის ისე, რომ ორი ან სამი პოლიტიკური ღორი არ დაიჭირონ. ამ რამდენიმე დღის წინათ ეტაპით გაგზავნეს ასოცდა ჩვიდმეტი უპასპორტო ღრუტუნა კრამოლნიკი.

სამტრედია. აქაურ მღვდლებს მუცლები დაეფუკათ, რადგან გლეხები დრამის ფულს დროზე არ იძლევიან. მღვდლების მუცლების გასასწორებლათ სასტიკი ზომები მიიღეს და ენერგიულათ შეუდგენ დრამის ფულის აკრეფას.

ყვირილა. ა თაბაკარი ქუთაისში გადასახლდა და იქ გადაიტანა ,,ქრთამების რეზიდენცია‘‘. ყვირილელები უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდენ, რადგან ქრთამების ქუთაისში ჩატანა ძნელია, მით უმეტეს ცხენის, ძროხის, ვირის და სხვა. აქაურ ახლად აგებულ თეატრში წარმოდგენებს აღარ მართავენ, რადგან შიგ ნაფოტები დაბინავებულან.

ამ დღეებში ხალხის პოლიციასთან შესარიგებლათ პ. მაჭავარიანმა დიდებული ნადიმი გამართა. ნადიმმა ორ დღეს გასტანა და სასურველი ნაყოფიც გამოიღო.

ოზურგეთი. ვაჭართა დეპუტაციას მათრახები უცხუნეს. ყველა გაკვირვებულია ამ საარაკო მოვლენით.

ამ დღეებში ასკანელი ხუცესი პავლე კილურაძე რეფერატს წაიკითხავს ს.-დემოკრატების წინააღმდეგ. ხუცესი ფიქრობს ლექციის დროს ხალხს წაუკითხოს ილიკოს და აკობიას ნაწარმოებები, როგორც მისი აზრების დასამტკიცებელი საბუთები.

სვირი. ამ დღეებში აქ მოხდა გლეხების ყრილობა. ყრილობაზე ბევრი მთვრალი გლეხი გამოცხადდა. (ზოგიერთს მთვრალი ცოლებიც თან მოეყვანათ) ყრილობაზე დაადგინეს სოფლიდან გააძეონ ის (ინტელიგენტი იქნება თუ არა ინტელიგენტი) ვინც შუამდგომლობას აღძრავს სოფლის ახლო „პლათფორმის‘‘ დაარსების შესახებ. მიზეზათ ის დაასახელეს, რომ როცა პლათფორმა ახლო იქნება, გარეშე ხალხი ხშირ-ხშირათ გვესტუმრება, განათლება შემოგვეპარება და ჩვენ დახავსებულ ცხოვრებას შეარყევსო. სასტიკი ზომებია მიღებული.

რუსეთი.

პეტერბურგი. ამ დღეებში „რუსთა კავშირის“ კრება მოხდა. კრებაზე განიხილეს საკითხი ებრაელებთან ბრძოლის შესახებ. დაადგინეს: არამც და არამც არ მიმართონ ებრაელ ექიმს, ვაჭარს, ხელოსანს და სხვა. აზრათა აქვთ საკუთარი ბანკი დააარსონ.

ვიატკა. 14 აგვისტოს საპოლიციო ნაწილს თავს დაესხენ ანარქისტები. მოკლეს და დასჭრეს ხუთი გოროდოვოი. ბოქაული ცოცხალი გადარჩა, მაგრამ შიშით ჭკუაზე შეცთა და დიდი თხოვნით როგორც იქნა ნება მისცეს სამსახურიდან გასვლის.

კოროშინო. ხოლერით ავათ გახდა ორი სანიტარი, იმ დროს როცა კრება ქონდათ ხოლერის წინაალმდეგ. დანარჩენები გაიქცენ. კრება შესწყდა.

მოსკოვი. ახლო მომავალში გაიმართება თავად-აზნაურთა საგუბერნიო წინამძღოლების ბაასი. დღიური წეს-რიგი ჯერ არ შეუმუშავებიათ.

ადესა. შავრაზმელებმა ისევ დაიწყეს აქტიური გამოსვლა. ამ დღეებში მოელიან ახალ სისტემის რეზინების ტრანსპორტს, რადგან ძველები უკვე გაცვთა...

ტერიოკი. ჟურნალ ,,რუსსკოე ბოგატსტვო‘‘-ს თანამშრომელ პეტრიშჩევს სტუმრები ეწვია. პეტრიშჩევმა რასაკვირველია სადილი გაუმართა. ის იყო სუფრას შემოუსხდენ, რომ მოულოდნელათ გაჩნდა კომმისარი და მოითხოვა ,,მიტინგის‘‘ დაშლა. ყველა გაოცა ამგვარმა მოთხოვნამ· როცა შეეკითხენ რაში იყო საქმე, განაცხადა ვიბორგის გუბერნატორმა მიბრძანა ,,მიტინგი გავრეკოო‘‘. აუხსნეს, რომ მიტინგი არა ,,სადილობა‘‘ იყო. მოსწრებულმა კომისარმა ამაზე უპასუხა: ,,არც სადილობა შეიძლება ერთათო‘‘. დიდის ვაი ვაგლახის და დეპეშების გზავნის შემდეგ, როგორც იქნა ნება მიიღო პეტრიშჩევმა ესადილა თავის სტუმრებთან და შემდეგ დაშლილიყვენ.

სასწავლებელში.

ქუთაისის ერთ-ერთ საქალებო სასწავლებელში პირველ კლასში გამოსაცდელი ეგზამენი დაიწყო. მასწავლებელ ქალს ძლიერ ეცოტავა დამსწრეთა რიცხვი და ეგრეთ წოდებული „პერეკლიჩკა“ მოახდინა:

— განირავა ელენა!

— არ გახლავთ ბატონო! გათხოვდა.

— მირმანიძე ნინა!

— არ გახლავთ. ჯვარს იწერს, ბატონო, აფიცერს მიყობა.

— კარტოფელოვა სოფია!

— დღეს ნიშნობა აქვს ბატონო სწავლას თავს ანებებს.

— კორიაშვილი თამარა!

— Здѣсь!

— კოკობია მატრონა!

— გათხოვდა ბატონო.

— კურტუმაძე ანასტასია!

— გათხოვდა ბატონო:

— სიმონოვნა ტატიანა!

— გათხოვდა ბატონო

საერთო მხიარულებაა.

უცხო სიტყვების ახსნა.

(იხ „შუამავალი“ № 5)

ნაბადი—ნაბადი ისეთი ,,რევოლიუციონური'' საქონელია, რომლის ტარება სასტიკათ აღკრძალული აქვს რუსეთის მოქალაქეს, იქ სადაც სამხედრო წესებია შემოღებული. რადგან ნაბადი სიცივისგან დასაფარავათ არის მოგონილი მისი ტარება მხოლოდ ჩვილი გულის და ნაზი აგებულობის პატრონ ყაძახებს შეუძლიათ. მათ უფლება აქვთ აგრეთვე მხოლოდ ახალ-ახალი ნაბდები ატარონ პირდაპირ მაღაზიიდან ან სხვისი ზურგიდან.

ნაბიჯი—ნაბიჯის გადადგმა შეიძლება წინ და უკან. წინ გადადგმული ნაბიჯი ნიშნავს წინსვლას, უკანგადადგმული—ჩამორჩენას, უკან დახევას. დღეს რევოლიუცია უნაბიჯოთ არის, არც წინ მიდის და არც უკან, ჯორივით დგას ერთ ადგილზე, ხოლო ,,შანტაჟისტობა'' კი მდევის ნაბიჯით წინ მიქრის და თან და თან ითრევს შეუგნებელ, უზნეო ახალგაზდობას. მიქრის წინ, მარა უფსკრულის პირზე მისულია და ჩქარა გადიჩეხება შიგ.

ნაგავი—ნაგავი არის სულიერი და უსულო არსება. პირველი, პარტიების სახით, მრავლათ ყრია რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში; მათი ,,გაცოცხვა'' მხოლოდ რევოლიუციის უკანასკნელ ქარბუქს შეუძლია, რომლის შემდეგაც სრულიად გაიწმინდება ,,სოციალიზმი'' ასეთი ნაგავისაგან. ,,სულიერი ნაგავი'' თფილისშიდაც ბევრია (რამდენია, ამის გამოცნობა მკითხველისთვის მიგვინდვია), მარა იმდენი კი არა, რამდენიც უსულო ნაგავი. უსულო ნაგავი არის ერთათ შეზავებული სხვადასხვა ნივთიერება, როგორც მაგალითათ დამჩვალი კატის კუდი, ცხენის თავი, ძროხის ძვალი, ფუნა, ტალახი, მტვერი და სხვა. ასე ლამაზათ შეზავებული ნაგავი ფრიად საჭიროა ქალაქის ჰაერის სადეზინფექციოო ხოლერის წინააღმდეგ. თფილისი ამ მხრით მეტის-მეტათ მდიდარია. საზოგადოთ ყველაზე კარგი ნაგავი იმ ქალაქსა აქვს, სადაც კაი ,,მამები'' ყავთ და კარგათ ზრუნავენ. კულტურულათ მოწყობილ ქალაქში ,,ზაპასათ'' აქვთ შეგროვილი ნაგავი ერთ ალაგას და საჭიროების დროს გამოაქვთ ქალაქში. კავკასიაში მხოლოდ მარტო თფილისს აქვს ასეთი ,,ზაპასი''—ქალაქის საყასბოები. ქალაქის ეს განაპირა ადგილი ნაგვის განხორციელებაა. საუბედუროთ (მამების დაუდევრობით) აქ უსულო და სულიერი ნაგავი დომხალივით არეულა ერთი-მეორეში; ამიტომ ფრიად საჭიროა მათი ,,სორტირროვკა''—უსულო ნაგვის საგანგებოთ შენახვა და სულიერთა გაცოცხვა, მარა ჯერ ვერ ბედავენ.

ნაგვემი—საპოლიციო ნაწილში ნამყოფი კაცი.

ნადიმი—დიიიდი სადილის გამართვა. წინანდელ დროში ასეთ სადილებს ადამიანებს უმართავდენ, როგორც მაგალითათ ,,ნათავარ'' კაცს; ეხლა კი დრო გამოიცვალა და ადამიანების მაგიერ მხეცებს უმართავენ, როგორც მაგალითათ დათვს, მგელს, ტურას და სხვა, რომ მათი გული მოიგონ. წინანდელი სადილი იაფი ჯდებოდა, ხოლო ეხლანდელი კი მეტის-მეტათ ძვირი, რადგან მხეცებს დიდი მადა აქვთ.

ნადირი—არის ოთხფეხა და ორფეხა ნადირი. პირველი ცხოვრობს ტყეში, ხოლო მეორე ქალაქში. პირველი ნადირობს ტყეში, მეორე ქალაქში. პირველის იარაღია კლანჭები და კბილები, მეორესი ,,წერილი'' და რევოლვერი. არც ერთი და არც მეორე თავის მსხვერპლს არ იცოდვებს.

ნავარდი—სოფლიდან სოფლათ სეირნობა.

ნავთი—ჭეშმარიტ რუსთა სანთელი ღვთისთვის შესაწირავათ. ზოგი სანთელი მსხვილია, ზოგი წვრილი, როგორც მაგალითათ დიდი სახლი და პატარა ქოხი.

ნავი—ფოთის ქუჩებში სასეირნო ეტლი. ასეთი ეტლი ქუთაისშიაც სცადეს, მარა ტალახში ჩაიძირა, რადგან იქ სქელი ტალახი აღმოჩნდა. ნავების მაგიერ ქუთაისში მცურავ ხიდებს აკეთებენ თურმე.

ნათესი—კეთილშობილთა საკვებათ გლეხების ნაწვავ ნადაგი. გურკო-ლიდვალის და სხვათა საძღომი მასალა.

ნაზუქი სოფლური ქრთამი. ნაზუქები წინათ იცოდენ ქრთამათ, ეხლა ყველაფრის მიტანა შეიძლება, როგორც მაგალითათ ცხენის, ჯორის, ვირის და სხვა. ასეთი ,,არა ჩვეულებრივი'' ქრთამები ზინგერის კომ. გამგეს ა. თაბაგარს შემოულია პირველათ. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ეხლა ქუთაისში—წინეთ ყვირილაში იყო.

ნაკითხი—სხვების რა მოგახსენო და თფილისში მხოლოდ ორათ-ორი კაცია ნაკითხი. მართალია ჭკუასთან ორივე მწყრალათ არის, მაგრამ სამაგიეროთ თავიანთი ნაკითხობა უკვე გამოიჩინეს და კიდევ გამოიჩენენ მყრალ-ბროშიურების წერით.

ნაკურთხი—ე. ი. ხელ დასხმული. ხელ დასხმა შეიძლება მღვდლათ, დიაკვნათ, პაგრომშჩიკათ, ჭეშმარიტ რუსათ და სხვ.

ნალეწი—მხედრობის გავლილი სოფლები.

ნალი—გენერალ-გუბერნატორთა განკარგულება ციმბირისკენ წასვლის შესახებ.

ნამოარი—ციმბირელ გლეხის ლუკმა.

ნამუსი—მეტის-მეტათ გაიაფებული საქონელი.

ნანა—პოლიტიკური ძილის პირი რევოლიუციის დასაძინებლათ.

ნარდი—ნარდი, კარტი, ლოტო და სხვა ერთგვარი სათამაშოა. ისეთი გასავალი ნარდ-კარტს თავის დღეში არ ქონია, როგორიც დღესა აქვს. ამის მიზეზი დასვენების ხანაა. ნარდ-კარტის თამაშმა დღეს პირდაპირ პარტიული ხასიათი მიიღო. (ისეთი აღარაფერია დღეს, რომ პარტიული ხასიათი არ ქონდეს. არის მაგ. პარტიული კოცნა, არშიყობა და სხვა) არის ,,სოციალისტური'' და არა ,,სოციალისტური'' კარტის თამაში. ,,სოციალისტურ თამაშს ხშირათ ხიფათი მოსდევს, როგორც მაგალითათ ,,დუელში გამოწვევა". არა სოციალისტური კი—ჩვეულებრივია. პარტიულმა თამაშობამ პირველათ ბაკურიანში იჩინა თავი. დუელიც იქ მოხდა, მაგრამ არავინ დაშავებულა. ,,სოციალისტებს'' წინათ აქ ძალიან სწყალობდათ თურმე ბედი, მაგრამ ბოლოს ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში და ვიღაც უპარტიო სომეხმა პარტიულათ გააძრო ტყავი. როგორც გავიგეთ ბაკურიანის ,,სოციალისტები'' ეხლა არა ,,სოციალისტურ'' ნიადაგზე ფიქრობენ თურმე თამაშის გაგრძობას.

ნასასხლარი- ეგზეკუციის ნამყოფი სოფლები.

ნასუფრი—რუსეთის კონსტიტუცია.

ნასვამი—,,რუსთა კავშირის'' აგიტატორი.

ნაღვაწი—ილიკოს სისხლით და ოფლით ,,ისარის''-ს გარეთ ნაღვაწი წიგნი ს.-დემოკრატებზე ჯავრის საყრელათ.

ნაყვა—გვერდების დაზელა.

ნაშთი—ილიკოს და აკობიას სიკვდილის შემდეგ ფედერალისტთა სამემკვიდრეოთ დარჩენილი ბროშიურები.

ნაჩუქარი—დეკანოზობა

ნაძალადევი—ულკანი.

ნაწარავი—მღვდლების მუცლის საფანელი.

ნახუცვარი—ნახუცვარი=ნადეპუტატარი. გაფარშევანგებული ყვავი. გასოციალისტებული ანაფორა. სატუსაღოდან დანო-

სების წერა დრამის ფულის „სოციალის-ტურ“ ნიადაგზე აღების შესახებ. საზოგადოთ „ნახუცრობამ“ 1905 წლის უკანასკნელ თვეებში პირდაპირ ეპიდემიური ხასიათი მიიღო. ანაფორაში შემძვრალი სოციალისტები გამოძვრენ, (დარჩა ზოგიერთებიც მაგალითად მამა დომენტი, ბესარიონი, ივანე და სხვანი) უკუ აგდეს „ეშმაკის“ სამოსელი (ანაფორა ,,ეშმაკის სამოსელის“ სახელით ერთმა დიაკონმა მონათლა 1905 წლის 17 ოქტომბერს ნახალოვკაში სადაც ის ავიდა ტრიბუნაზე გამოძვრა ანაფორიდან და ხალხს გადაუგდო ამ სიტყვებით: „წყეულ იყოს ეს ,,ეშმაკის სამოსელიო“. მეორე დღეს ,,გასოციალისტებული“ დიაკონი ისევ შემძვრალიყო ,,ეშმაკის სამოსელში“ და ისე გამოცხადდა მიტინგზე, მაგრამ შორი ახლო დადგა და ისე უგდებდა ყურს) დაქროლა თუ არა ,,ცივმა ქარმა“ ,,გასოციალისტებულმა“ ხუცებმა მოინდომეს ისევ შეძრომა ანაფორაში, მაგრამ აღარ მოხერხდა და ამიტომ ზოგიერთმა მათგანმა, როცა გაუჭირდა ისევ ,,ხუცურ“ ხრიკს მიმართა.

ნიკო.—არის ქვეყნათ, ორი ნიკო,
ერთი სოხუმს, ერთი ფოთსა;
ფოთელია დიდი ნიკო,
ქვეყანა, რომ გააოცა.

—

დიდი ნიკო ფოთელებს ჭამს,
პაწა ნიკო სოხუმლებსა,
პროექტების შედგენაში
მათ ვერავინ მოუგებსა.

—

ფოთის ზღვაში შეცურება
დიდი ნიკოს პროექტია,
და ამისთვის პეტერბურგში
წაეთრია, მოეთრია.

—

ოზურგეთის რკინის გზაი
პაწა ნიკოს პლანი იყო
როგორც ვიცით პეტერბურგში
რამდენჯერმე ისიც იყო.

—

გაუცრუვდათ იმედები
თუმც სასტიკათ დასდვეს თავი;
ფოთ-ოზურგეთს კი ორივემ
,,მამობრივათ“ აძერეს ტყავი.

როგორც გავიგეთ ეხლა ორივე ნიკოს ერთი საარაკო პროექტი შეუდგენიათ— დაუახლოვდენ ერთმანეთს, ე. ი. ფოთი და სოხუმი ერთი მეორისაკენ მიაჩოჩ-მოაჩოჩონ. პროექტში სხვათა შორის ნათქვამია, რომ ამ აზრის განსახორციელებლათ საჭიროა ათჯერ პეტერბურგში წასვლა, ხოლო წასასვლელათ-კი 24000 მ. ეჭვს გარეშეა, რომ ეს პროექტი განხორციელდება თუ ფოთელ-სოხუმლები რაღაც ორიოდ გროშს 24000 მანათს გადაიდებენ ,,თავების“ სამგზავროთ.

ირეთელი

(შემდეგი იქნება)

ცოლი.—აა! შე სალახანავ! რამდენჯერ შემპირდი აღარ დავლევ და „ზაბასტოვკას გავაკეთებო“ და კიდევ გახეთქილხარ?!!

ქმარი.—მე... მე... ცოტა... მხოლოდ ვიყნოსე „მერზავჩიკი“... ზაბასტოვკა... არ შეიძლება— ზაბასტოვკისთვის... ვირის აბანოში წამიყვანენ.

წერილი რედაქციას.

ბ. რედაქტორო! გთხოვთ დამიდასტუროთ, რომ „შუამავლის“ № 1-ში მოთავსებული ლექსი „წერილი ჯოჯოხეთიდან“ ჩემი არ არის*) ამასთანავე მოვითხოვ იმ „ვაჟბატონისაგან“, რომელმაც ხმები გაავრცელა ოზურგეთში, თითქო ის ლექსი ჩემი ყოფილიყო და თან ცნობებს ვაწვდიდე „შუამავალს“ ოზურგეთის შესახებ, საჯაროთ, პრესსის საშუალებით დამიმტკიცოს ყველა ეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მე მას უწოდებ საზიზღარ ცილის მწამებელს.

ვანო ლლონტი.

—

„შუამავლის“ ფოსტა

ხონი. რისხვას. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება. უშინაარსოა. გარდა ამისა საყურადღებოა ვიცოდეთ სახელი და გვარი რათ დაგავიწყდათ? წერილზე უნდა ეწეროს ვისი მოწერილია და ვის უნდა მივმართოთ საჭიროების დროს.

ჯუმათის მონასტერი. მელიას. არც თქვენი ლექსი დაიბეჭდება, რადგან ავტორის ვინაობა არ ვიცით. მართალია იწერებით „ფულს არ ვთხოულობთ“, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ არც ეს შველის თქვენ ნაწარმოებს. აბა ერთი მითხარით რასა გავს:

„ცუდ პირობებში ჩავარდა
ჯუმათისა მონასტერი;
წმინდათა თავ შესაფარსა
შიგნით ამოუჩნდა მტერი.
ძველთა-ძველი ნამსახური
მამა გერასიმე ბერი და სხ.“

თუ მართლა საბუთები გაქვთ რამე, მოგვაწოდეთ და თქვენი ვინაობაც გვაცნობეთ, ხოლო ამ დროებით კი ნურას უკაცრავათ.

*) ვამოწმებთ, რომ ლექსი „წერილი ჯოჯოხეთიდან“ ვანო ლლონტის შეთხზული არ არის.

რედ.

სად. ცემი. კრაზანას. თქვენი ლექსი ხაშურელ „მარქსისტკა“ ბარიშნების შესახებ, რომელნიც აფიცრებთან ერთად დღე მუდამ ტკეპნიან სადგურის ბაქანს, არ დაიბეჭდება, რადგანაც ამით, ი. ნაკაშიძის თქმისა არ იყოს „პარტიის ინდოურებს“ წაღმართ გზაზე ვერ დააყენებთ.

მუშტს. საზოგადოთ თითქმის ყველა ქართულ გაზეთებს და კერძოთ ჩვენ ძლიერ ცოტა მოგვდის კახეთის მხრიდან ცნობები. ეს სამწუხაროა ჩვენთვის და ძლიერ სასიამოვნო იქნება, თუ ბლომათ მოგვაწვდით საჭირო ცნობებს სიღნაღის რაიონიდან მაინც. მაგრამ გთხოვთ შეძლებისა და გვარათ საზოგადო ინტერესის ფაქტები აღნუსხოთ.

—

ამოცანა № 1.

შეამოკლეთ (сократить) ნახევარი (дроб)

$$\frac{\text{,,ისარი''}}{\text{„ქარიშხალი“}} ?$$

$$1)\ \frac{\text{,,ისარი'' : ქარაფშუტობაზე}}{\text{,,ქარიშხ.'' : ქარაფშუტობაზე}} = \frac{\text{Baton}}{X}$$

$$2)\ \frac{\text{Baton : გინებაზე}}{X\text{ : გინებაზე}} = \frac{0}{0} = 00$$

რედაქტორ-გამომცემელი

ს. კეკელიძე.

ელექტრომბეჭდავი
ამხანაგობა
,,შ რ ო მ ა“
ყოველგვარ საბეჭდავ საქმეს ასრულებს სუფთა და სწრაფად დაკლებულ ფასებში.